ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 126

"28" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის შპს „ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლი მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში" (ს/კ202886788) მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის არსებული ფინანსური რესურსის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების" (1.2.1) ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებაში), 2 399 950 (ორი მილიონ სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ფულადი შენატანის განხორციელების შესახებ.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი